დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის
№02 ბრძანებით (დანართი 07)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ აფილირებული და არააფილერებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

აფილირებული და არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი (შემდგომში - „წესი“) ადგენს ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) დასაქმებული აფილირებული და არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას, პირობებსა და მათთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. აფილირებული და არაფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

1. აფილირებული და არაფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ ისეთი სასწავლო/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და პროფესიული განვითარების კომპონენტის განხორციელებაში ჩართულობას, რა მიმართულებითაც პირს უდასტურდება კვალიფიკაცია ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დანიშვნის“ წესით.
2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მოწვეული პერსონალის (უფორსი მასწავლებელი/მასწავლებელი) სტატუსით შეიძლება მონაწილეობდეს პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია.
3. აფილირებული და არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განსაზღვრისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს აფილირებული და არაფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვას ყველა იმ უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მას უკავია აკადემიური ან/და სამეცნიერო თანამდებობა, ან თანამშრომლობს მასთან როგორც მოწვეული ან ადმინისტრაციული პერსონალი. აფილირებული და არაფილირებული ა აკადემიური პერსონალი ვალდებულია სემესტრულად უნივერსიტეტს წერილობითი ფორმით წარმოუდგინოს ინფორმაცია მისი სხვა უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში მომდევნო სემესტრში მოსალოდნელი დატვირთის შესახებ. აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი/სახელოვნებო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საორგანიზაციო, საზოგადოებრივ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ სხვა საქმიანობას. აფილირებული აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია შეასრულოს „აკადემიური პერსონალის აფილირების წესით“ განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები.

4. იმ აკადემიური პერსონალის სასწავლო/სამეცნიერო დატვირთვა და შრომის ანაზღაურების ოდენობა, რომელიც არ არის უნივერსიტეტთან აფილირებული, განისაზღვრება მხარეებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. არააფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვაში შედის სასწავლო/მეთოდური, სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო, საორგანიზაციო და პროფესიულ განვითარებაზე მიმართული საქმიანობა.
5. აფილირებული პროფესორის სასწავლო დატვირთვა მოიცავს: კვირეულ სააუდიტორიო 6 საათს და სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებულ საკონსულტაციო საათებს, საგამოცდო პროცესისთვის საკითხების მომზადებისა და ნაშრომების გასწორებისთვის დახარჯული დროის პერიოდს, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტისა და პრაქტიკის ხელმძღვანელობას. აფილირებული და არააფილირებული პროფესორის აკადემიური დატვირთვა მოიცავს უნივერსიტეტის „აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და პროფესიული განვითარების შეფასების წესის“ დანართი 1-ით გათვალისწინებულ აქტივობებს. აფილირებული პროფესორი ვალდებულია ზემოთ მითითებული წესით გათვალისწინებული აქტივობებიდან ყოველწლიურად დააგროვოს 50 ქულა.
6. აფილირებული ასოცირებული პროფესორის სასწავლო დატვირთვა მოიცავს: კვირეულ სააუდიტორიო 8 საათს და სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული საკონსულტაციო საათებს, საგამოცდო პროცესისთვის საკითხების მომზადებისა და ნაშრომების გასწორებისთვის დახარჯული დროის პერიოდს, შემოქმედებითი პროექტისა და პრაქტიკის ხელმძღვანელობას. ასევე, უნივერსიტეტის „აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასების წესით“- გათვალისწინებულ აქტივობებს. აფილირებული

ასოცირებული პროფესორი ვალდებულია ზემოთ მითითებული წესით გათვალისწინებული აქტივობებიდან ყოველწლიურად დააგროვოს 40 ქულა.

7. აფილირებული ასისტენტ-პროფესორის სასწავლო დატვირთვა მოიცავს: კვირეულ სააუდიტორიო 12 საათს და სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებულ საკონსულტაციო საათებს, საგამოცდო პროცესისთვის საკითხების მომზადებისა და ნაშრომების გასწორებისთვის დახარჯული დროის პერიოდს. შემოქმედებითი პროექტისა და პრაქტიკის ხელმძღვანელობას. ასევე, „აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასების წესის“ დანართი 1-ით გათვალისწინებულ აქტივობებს. აფილირებული ასისტენტ-პროფესორი ვალდებულია ზემოთ მითითებული წესით გათვალისწინებული აქტივობებიდან ყოველწლიურად დააგროვოს 30 ქულა.
8. აფილირებული აკადემიური პერსონალი და არააფილირებულ აკადემიურ და ასევე მოწვეულ პერსონალთან ერთად ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/მოდიფიცირება/განვითარების პროცესში, ასევე საუნივერსიტეტო ღონისძიებებსა და აქტივობებში, საუნივერსიტეტო კომისიების მუშაობაში და იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე („აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასების წესის“ დანართი 2). აღნიშნული აქტივობები არ ექვემდებარება დამატებით ანაზღაურებას. პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის მიმართ დადგენილი მოთხოვნაა მინიმუმ 30 ქულის დაგროვება.
9. უნივერსიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის შესაძლებელია დადგინდეს ამ წესისგან განსხვავებული დატვირთვის ოდენობა, რომელიც აისახება საშტატო ნუსხასა და შრომით ხელშეკრულებაში.
10. თითოეული აფილირებული და არააფილირებული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა, მისი ოდენობა და სახეები განისაზღვრება ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, მიმდინარე სასწავლო წლისთვის დაგეგმილი აქტივობების გათვალისწინებით. შესაძლებელია დატვირთვის სახეების შესაბამისად მათ ზღვრულ ოდენობებში ცვლილებების შეტანა ერთი სახის დატვირთვის ზღვრული ოდენობის შემცირებით, სხვა სახის დატვირთვის ზღვრული ოდენობის გაზრდის ხარჯზე და პირიქით.
11. აფილირებულ და არაფილირებულ აკადემიურ პერსონალთან არ შეიძლება დამატებით გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება, როგორც მოწვეულ პერსონალთან.
12. მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მისი დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. მოწვეული

პერსონალს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/მოდიფიცირება/განვითარების პროცესში, ასევე საუნივერსიტეტო ღონისძიებებსა და აქტივობებში, საუნივერსიტეტო კომისიების მუშაობაში და ვალდებულია იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე („აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასების წესის“ დანართი N2). აღნიშნული აქტივობები არ ექვემდებარება დამატებით ანაზღაურებას. პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით მოწვეული პერსონალის მიმართ დადგენილი მოთხოვნაა მინიმუმ 30 ქულის დაგროვება.

13. დატვირთვების განსაზღვრისას უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის შესაბამისი საათების განაწილება და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს პერსონალი.

მუხლი 3. შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის/სამაგისტრო ნაშრომის/პრაქტიკის ხელმძღვანელობის წესი

1. აფილირებული, ან არაფილირებული პროფესორი და ასოცირებული პროფესორი უფლებამოსილია იყოს სტუდენტთა არაუმეტეს 2 ჯგუფის შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის ხელმძღვანელი. აფილირებული, ან არაფილირებული ასისტენტ-პროფესორი უფლებამოსილია იყოს სტუდენტთა არაუმეტეს 1 ჯგუფის შემოქმედებითი/საშემსრულებლოპროექტის ხელმძღვანელი.
2. აფილირებული ან არაფილირებული პროფესორი, აფილირებული ან არაფილირებული ასოცირებული პროფესორი უფლებამოსილია იყოს არაუმეტეს 4 სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.
3. აფილირებული და არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია იყოს არაუმეტეს 2 ჯგუფის პრაქტიკის ხელმძღვანელი.
4. საბაკალავრო ნაშრომისთვის (შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტისთის)/სამაგისტრო ნაშრომისთვის სემესტრის განმავლობაში გასაწევი საკონსულტაციო დრო შეადგენს არანაკლებ 30 საკონტაქტო საათს.
5. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებული დატვირთვა შეასრულოს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში.
6. დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ უახლესი ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელსაც აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული

სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა

1. უნივერსიტეტში აფილირებული და არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაქსიმალური ჯამური კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ 40 საათს.
2. აფილირებული აკადემიური პერსონალის სრული განაკვეთის წლიური დატვირთვა განისაზღვრება 1680 საათით (42 სამუშაო კვირა).
3. აფილირებული აკადემიური პერსონალის 75 %-იანი განაკვეთის წლიური დატვირთვა განისაზღვრება 1260 საათით (42 სამუშაო კვირა).
4. აფილირებული აკადემიური პერსონალის 50 %-იანი განაკვეთის წლიური დატვირთვა განისაზღვრება 840 საათით (42 სამუშაო კვირა).
5. აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა:

N	აკადემიური თანამდებობა	წლიური დატვირთვა პროცენტულად (42 სამუშაო კვირა)	სასწავლო საქმიანობა (საათები)	სამეცნიერო-კვლევითი-შემოქმედებითი-სა შემსრულებლო (საათები)	პროფესიული განვითარება და ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო (საათები)
1	პროფესორი	100%	360	960	360
		75%	270	720	270
		50%	180	480	180
2	ასოცირებული პროფესორი	100%	480	840	360
		75%	300	630	330
		50%	240	300	300
3	ასისტენტ-პროფესორი	100%	600	720	360
		75%	420	480	360
		50%	300	180	360

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წესი დამტკიცდეს რექტორის ბრძანებით.
2. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.
3. წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.

დანართი 1

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობების ჩამონათვალი

	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობები	**აქტივობის შესაბამისი ქულა**
	1. სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებში მონაწილობა	
1.1	ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა	**10 ქულა**
1.2	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა	**15 ქულა**
	2. სამეცნიერო პუბლიკაცია	
2.1	ადგილობრივ რეცენზირებულ (Peer-reviewed) სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება	**15 ქულა**
2.2	საერთაშორისო რეცენზირებულ (Peer-reviewed) სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება	**25 ქულა**
2.3	სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - სტატია/ ან თავი წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში;	**15 ქულა**
	3. მონოგრაფიის მომზადება/ გამოქვეყნება	
3.1	სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე/ ან ორენოვანი რომლსაც აქვს ISSN ან ISBNკოდი;	**50 ქულა**
3.2	სამეცნიერო მონოგრაფია ქართულ ენაზე, რომლსაც აქვს ISSN ან ISBNკოდი;	**40 ქულა**
	4. კრებულების/სახელმძღვანელოების მომზადება გამოქვეყნება	
4.1.	სალექციო კურსი, სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო	**30-40 ქულა**
4.2.	სამეცნიერო შრომების კრებული	**30-40 ქულა**
4.3.	ქრესტომათია, ლექსიკონი, სანოტო კრებული, ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები	**30-40 ქულა**

4.4.	აუდიო-პუბლიკაცია	**30 ქულა**
	5. სამეცნიერო გრანტი	
5.1.	დაფინანსებული საერთაშორისო საგრანტო გრანტი პროექტის ხელმძღვანელობა/ პროექტში მონაწილობა	**40 ქულა/20 ქულა**
5.2.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა/ პროექტში მონაწილობა	**40 ქულა/20 ქულა**
5.3.	საუნივერსიტეტო სამეცნიერო/შემოქმედებითი საგრანტო პროექტის ავტორობა/ ხელმძღვანელობა/ მონაწილობა;	**30/30/15 ქულა**
5.4.	სხვა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო-შემოქმედებით საგრანტო პროექტის ავტორობა/ ხელმძღვანელობა/ ან მონაწილეობა;	**30/30/15 ქულა**
	6. შემოქმედებითი აქტივობები	
6.1.	მონაწილეობა კონკურსებში, ფესტივალებში	**ერთი ღონისძიება 10 ქულა**
6.2.	მონაწილობა კონცერტში/ სოლო კონცერტი	**ერთი ღონისძიება 10 ქულა/ 40 ქულა**
6.3.	ჯილდოები, პრემიები, წოდებები, სტიპენდიები;	**30 ქულა**
6.4.	საშემსრულებლო კოლექტივების ჩამოყალიბება, მათი ხელმძღვანელობა.	**40 ქულა**
	კონკურსების/ ფესტივალების ორგანიზება/ ჟიურის წევრობა	**30 ქულა**
	7. სხვა სახის სამეცნიერო-მეთოდური/შემოქმედებითი აქტივობები	
7.1.	რეცენზირებული/რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა	**20 ქულა**
	რეცენზირებული/რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა	**20 ქულა**
	სამეცნიერო ნაშრომის, სანოტო კრებულის, აუდიო ალბომის რედაქტორობა	**20 ქულა**

	სამეცნიერო ნაშრომის, სანოტო კრებულის, აუდიო ალბომის რეცენზენტობა	**15 ქულა**
7.2.	საბაკალავრო / სამაგისტრო ნაშრომისა და შემოქმედებითი პროექტების ხელმძღვანელობა	**15 -20 ქულა**
	საბაკალავრო / სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტობა	**10 ქულა**
7.3.	ფოლკლორული ექსპედიციების ხელმძღვანელობა/მონაწილეობა.	**10 ქულა**
	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტიოს წევრობა	**8 ქულა**
	ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტიოს წევრობა	**5 ქულა**
	საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა	**5 ქულა**
	ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა	**5 ქულა**
	სტუდენტური შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა (საკონცერტო გამოსვლისთვის/ ღვთისმსახურებისთვის გუნდის ხელმძღვანელობა: ნომრის მომზადება)	**10 ქულა**
	სხვა სახის სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობა/აქტივობები[1]	

[1] ქულას ანიჭებს რექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია.

დანართი 2

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები

	პერსონალის აქტივობები პროფესიული განვითარების მიმართულებით	**აქტივობის შესაბამისი ქულა**
1	ადგილობრივ ვორქშოპზე/ სემინარზე/ტრენინგზე დასწრება	**5 ქულა**
2	ადგილობრივი ვორქშოპის/ სემინარის/ტრენინგის ჩატარება	**15 ქულა**
3	საერთაშორისო ვორქშოპზე/ სემინარზე/ტრენინგზე დასწრება	**10 ქულა**
4	საერთაშორისო ვორქშოპის/ სემინარის/ტრენინგის ჩატარება	**20 ქულა**
5	საჯარო ლექციის/ თემატური შეხვედრის/დისკუსიების ჩატარება	**20 ქულა**
6	უნივერსიტეტის ვებ-გვერდისათვის სფეროსთან დაკავშირებული აქტუალური მასალების მომზადება	**15 ქულა**
7	სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის თარგმანი	**20 ქულა**
8	სტუდენტების მომზადება შემოქმედებითი/საშემსრულებლო ტიპის პროექტებისთვის	**15 ქულა**
9	სტატია არასამეცნიერო-კვლევით ჟურნალებსა და ინტერნეტ-გამოცემებში	**15 ქულა**
10	საერთაშორისო აკადემიური მობილობა	**20 ქულა**
11	პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული სხვა აქტივობები[1]	

განმარტებები

[1] ქულას ანიჭებს რექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია.

- სახელმძღვანელოდ ჩაითვლება საგანგებოდ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად შექმნილი, აკადემიური აპარატით აღჭურვილი რესურსი (კონკრეტული თემატიკის სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, თვალსაზრისები; მეთოდური მითითებები და წყაროები; კითხვარი/დავალება/სავარჯიშო).
- მონოგრაფიად ჩაითვლება ერთი დარგის ან ინტერდისციპლინური მიდგომით შესრულებული ვრცელი გამოკვლევა სამეცნიერო სტანდარტით დადგენილი აკადემიური აპარატით.
- სამეცნიერო კრებულად ჩაითვლება ერთი ან რამდენიმე ავტორის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, რომელიც ეძღვნება ერთ რომელიმე თემას, თარიღს. ასევე, გამოქვეყნებული კონფერენციის/სიმპოზიუმის მასალები.
- სასწავლო-საცნობარო ლიტერატურად ითვლება: ლექტორის მიერ შედგენილი სასწავლო კონსპექტური კურსი/რიდერი, მეთოდური მითითებები, წყაროების/დოკუმენტებისა და ავტორთა საძიებელი, ტერმინოლოგიური თუ სხვა ტიპის სალექსიკონო ცნობარები.
- თარგმანად ჩაითვლება საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო სამეცნიერო, სასწავლო ან წყაროს (ტექსტის) სრული ან ნაწილობრივი თარგმანი უცხო ენიდან ქართულად ან პირიქით (თანდართული ლექსიკონით ან მის გარეშე).
- კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მომზადება და დანერგვა გულისხმობს როგორც ავტონომიურად უნივერსიტეტში, ისე დაწესებულების ეგიდით მის გარეთ განხორციელებულ აქტივობებს.
- კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის გავლად ითვლება დამსაქმებელი დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი ინსტიტუციის/ინდივიდის მიერ დაგეგმილი / შემოთავაზებული მომზადება / გადამზადება.
- საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება გულისხმობს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმის) შემუშავებასა თუ განვითარებაში კომისიური წესით მონაწილეობის მიღებას.